ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲗᲝᲐ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲐᲥᲢᲘᲙᲐ

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

თავიდან აკაცილოთ მსოფლიოს ბირთვული საფრთხე

მსოფლიო პრესა, სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი მალალ შეფასებას აძლევენ საბჭოთა კავშირის თანამიმდევრულ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, მის მზადყოფნას მოქმედებს ვალ გაუგზავლოს ყველა ბირთვული აფეთქების მორატორიუმს, თუ ამერიკის შეერთებული შტატები იგივეს მოიმოქმედებს. ხაზგასმით აღინიშნა, ჯერ კიდევ არის უნიკალური შანსი იმისა, რომ ეს მორატორიუმი ორმხრივი გავადოთ და გავუგრძელოთ ვადა, პირველი ინვერიდან ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაციისათვის, მისი გამოყენების, ომის საფრთხის საბოლოოდ თავიდან აცილებისათვის, რისთვისაც აქტიურად იღვწის სსრ კავშირი.

საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ გამოაცხადოს ყველა სახეობის ბირთვული აფეთქების მორატორიუმი, უნარეფთის საზოგადოებრიობას მიაჩნია ბირთვული კონფლიქტის საშიშროების თავიდან აცილების ეფექტიან საშუალებად და შეშფოთებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის დიდმნიშვნელოვან ნაბიჯს განიარაღების გზაზე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უპასუხა ინტენსიური მიწისქვეშა ბირთვული გამოცდების განგრძობით, კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციისთვის სამუშაოთა დაჩქარებით, თქვა სამამულო სახალხო ფრონტის სრულიად უნგრეთის საბჭოს მდივანმა ბ. მოლნარმა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა გამოიჩინოს პოლიტიკური ნება, მზადყოფნა, რომ გაითვალისწინოს მსოფლიოსა და უშიშროების ინტერესები, კონკრეტული ნაბიჯები გადადგას შეიარაღების შემცირების, ქენეკის შეზვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზაციის გზაზე.

ნიუ-იორკ ტაიმსი აღნიშნავს, რომ კონსტრუქციული ხასიათისაა საბჭოთა კავშირის პოზიცია ბირთვული გამოცდის აკრძალვისა და მისადმი კონტროლის საკითხში. როგორც გაზეთი წერს, საბჭოთა კავშირის მზადყოფნა, მოერიგდეს ამერიკის შეერთებულ შტატებს ადგილებზე კონტროლის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ მორატორიუმის დაცვაში ეჭვის აღმოფხვრისათვის, „უალრესად საეჭვოდ“ და ითვალისწინებს ამერიკის აღმოსტრატიის პოზიციას. ახლა საკითხი ის არის, როგორ უპასუხებს პრეზიდენტი საბჭოთა წინადადებებს, აღნიშნავს გაზეთი. მშვიდობისათვის მებრძოლი კალიფორნიელი ქალები“ — მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციის— ინგლისის „ობსერვერის“ აზრით, საბჭოთა წინადადებანი, რომლებიც ეხება ბირთვული აფეთქებების მორატორიუმს, მოითხოვს ამერიკის შეერთებული შტატებს პასუხს. ვაშინგტონს გოუპირდება ეს წინადადებანი პრაბაგანდად გაასაღოს და უარყოს ისინი, ვინაიდან ეს გამოვლენს ნამდვილ მიზეს, თუ რატომ არის ამერიკის შეერთებული შტატები წინააღმდეგი იმისა, რომ დიდოს ხელშეკრულება ბირთვული გამოცდის აკრძალვის შესახებ — მას უბრალოდ არ სურს ამ გამოცდის შეწყვეტა.

„გაბედულ გადაწყვეტილებას“ უწოდებს ესპანეთის „პაისი“ საბჭოთა კავშირის მიერ ყველა ბირთვული აფეთქების ცალმხრივი მორატორიუმის შემოღებას. მსოფლიო საზოგადოებრიობა დიდ დაინტერესებას იჩენს ამ საკითხში და მიიჩნევს, რომ ბირთვული გამოცდის აკრძალვის შეწყვეტა. „გაბედული ნაბიჯია“ — „ბანდერა“ — ეს ასეთი თქვა ბერლინელ ებერ ფოლკერ ბეკერ-ბეკერ. ეს ნაბიჯი, ბერლინელ ებერ ფოლკერ ბეკერ-ბეკერ ფიქრობს, ეხმარება ატმოსფეროს ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, ეხმარება ადამიანთა ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, ეხმარება ეკონომიკურ ზრდას, ეხმარება ადამიანთა ეკონომიკური ინტერესების, ეხმარება ეკონომიკურ ურთიერთობათა ინტენსიურ ფორმებზე გადასვლას



ოთარ ჭელიძე 60 წლისაა

მოსაჭრელია „ოქრო... ხმაწკრიალა“

მოსკოვი ვიაყვით მწერალთა მორიგ შეკრებაზე. კუნის ამბებით იყო მოცული მთელი ქალაქი. მახსოვს, ადგილს ვერ პოულობდი — გული თავისუფლების, კუნძულისაკენ მიგიწევდა. რატომღაც ეს შორეული ამბები მომაგონეს შენს ახლახან გამოსულ კრებულში ამოკითხულმა სტრიქონებმა:

ომი მოდიოდა პირნეის
ხრიოკ მთაგრეხილის
გადმოხეთქვით,
ომი ესპანეთის ბილიკებით,
ომი ფაშისტური ამბოხებით.

მერე ჩვენც მოგვწვდა მისი „შესახვალი ხელი“, მილიონობით სიცოცხლე შეიწირა ომმა, ჯერ კიდევ ჩვენი ბავშვობის წლებში ესპანეთში რომ დაიწყო („პუნის უსასრულო რიგებია წლობით ერთმანეთზე გადაბმული“... „ომმა დედამიწა დაამშია!...).

ამსობაში... „თმებში ვერცხლის ბრწყინვალეს“ დავვანა, — სამოცი წლის ზღურბლს მიადგა უკვე! მაგრამ „ჯერ ხომ გასათბები სათბებით გიცდის ზღვისპირეთი მოსავსავე“,—მოსაჭრელი „ოქრო — მთვარისხელა, ხმაწკრიალა“, ჩემი ოთარ, და საკვეანო „ბრილიანტია გამოსარანდავი“?!

შენც გპირდება, ძმაო, ჩემი ხელი,
მეც მპირდება, მომიფონო წყალული...
ისევ შენ და ისევ შენი ცხელი,
მტკივანი და უღალატო გული!

მურმან ლებანიძის შენდამი მოძღვნილ ამ სტრიქონებს შენ დაუყოვნებლივ უპასუხე, რადგან ეს უწყი: „ჯერ კიდევ რამდენია ზურგსუკან ბებუთის ამღესავი, მთა პირზე ღიმილის ვარდებია, გული აქვს სერობის ღამესავით“.

„სული გაორებულთ გამაოცებენ ამ არასოდეს გეფიქრებიათ“ ამ ტომ ერთმანეთის ხელია საჭირო და მხოლოდ „უღალატო გულია“ სალბენი ამა „წყალუთოს მოფონებისათვის“!

დღეგრძელი იყავ „მაჯაჰჭარებული სიუჟეტის ნატყვიარში ჩაკირული“ კაცო, ჯერ კიდევ დიდხანს ემსახურე შენს მშობელ ქვეყანას (რომლის „კერის ნაცარი არ გაუვარდა“ სხვაზე ნაკლებად!)‘ და ჩვენს პლანეტას კვლავაც სიმშვიდე უსურვე!

ანა კალანდაძე.

„სიტყვის წონადობის“ მცველი

...**დღეს** თბილისში აღარც ის ქუჩებია, აღარც ის სახლები, თითქმის აღარც ის ადამიანები, ჩვენი სიჭაბუკის ყმაწ, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ რომ იყვნენ.

ქუჩებმა სახე იცვალა, ნაწილი სახლებისა აიღეს, ადამიანთაგან: ვინ მოაყმინდაზეა, ვინ — დიდუბეში, ვინ, — ვაკეში, ვინ, — დიღომში, ვინ, — საბურთალოზე, ვინ, — ეუკიოზე, ვინ კიდევ, ვინ იცის, სად.

თითო-ოროლა ჭუნა, თითო-ოროლა სახლი, თითო-ოროლა კაცი თუკი შეგვახსენებს იმ ლამაზ დროს, მე და ოთარს რომ გაგვატარებია...

— უფსკრულსა ზედა საკუთარი ხმის თოკზე მოარული პოეტია-მეთქი ოთარ ჭელიძე, — ეწერდი ამ ათი წლის წინათ.

— სამი დასასრული მიყვარსო-მეთქი ქართულ მწერლობაში განსაკუთრებით, ვამბობდი იქვე და ვასახელებდი აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ ბოლო სტროფს („წარმოსთქვა და საფერთქელში მიიკეთა ცხელი ტყვია!... ნაიკეცა სულთამბრძოლი, წამლის კვამლში გაეხვია“), ილია ჭავჭავაძის „ნიკოლოზ გოსტაშბიშვილის“ ბოლო წინადადებას („ — მეც სიცოცხლეს თუ ვინაგნმე ვიჩუქებდი, მარტო შეხსენთა ვიყავიესაგანო, — უპასუხა ყაზიხაშმა, სალამი მისცა და წავიდა“) და ოთარ ჭელიძის „ორი მარაბდელის“ ბოლო ოთხ სტრიქონს („განდეგნილი დავალო სოფლად მე — ყაჩაღი, შენ — მგოსანი! — თქვა არსებამ და გაშორდა ერთურთს ორი ცხენსანი“). ეს ახლა არა მარტო იმიტომ გავიხსენე, რომ დღესაც ამავე აზრისა ვარ, არამედ უფრო იმიტომ, რომ ამჟამად დიდმა, მაშინდელმა ბავშვმა შეიტყოს, რას ვამბობდ მაშინ, როცა იგი პატარა იყო!

იმ დღიდან დღემდე ოთარმა კიდევ არაერთი ძვირფასი სტრიქონი შექმნა.

აროერთხელ „შესცვალა სიტყვის წონადობა“ (მისივე გამოთქმა რომ ვიხმაროთ) საკუთარი რიტმით.

...ვხედავ: მკლავებდაკარწყბებული, ხელში წერაქვით, როგორ მიხდგომია პოეტი მრუმე ღამეს, როგორ იქნევს წერაქვს და როგორ სცვივა ღამის ხატეხები მის ფეხებთან (ასე მისი შორეული წინაპარი ანგრევდა მარილის კლდეს ალზეკანში)...

დილით კი, ნათხარში მოწოწებით შემოდის სისხლისფერი ალითნთი, საკუთარი გარკით მოწეული, საკუთარი სულის შუქი, ხმა პოეტისა, — თვითონ უსხეულო და ურიცხვი სხეულის მომცველი, რომელიც საყრდენია პოეტის მთელი შემოქმედებისა, რომელზეც დაბჯენილია პოეტის წიგნი (ასე იღება ჭავჭავაძის განდეგილი აყრდენდა თავის ლოცვას ბეთლეემის სარკმლით გადმოშვებულ „ბორცოსსმენ სხივზე“).

მკითხველმა იცის და უყვარს ოთარ ჭელიძის მშვენიერი პოემები და ბალადები: „მდემარე მასპინძელი“, „ორი მარაბდელი“, „თამარ მეფის საფლავი“... ლირიკული ლექსები: „ძველი რეკვიემი“, „თავის შეფარება“, „მთვარის სონატა“, „დეკემბრის ქარში“...

ცოტაა პოეტი, რომელიც ისეთივე ეპიკოსია, როგორი ლირიკოსიც. ამ ცოტაშია ოთარ ჭელიძე.

მინდა ხანგრძლივი სიცოცხლე ეუსურვო პოეტს, პიროვნებას, საზოგადო მოღვაწეს და მეგობარს, ვინაიდან ერთ არსებაში მოკცეულ ამ ოთხეულს, პოეტისავე სიტყვით, „არც უნდა, არც უყვარს და არც სწამს არაკეთილი სხვა წმინდა, გარდა საკუთარი მამულისა“, ვინაიდან მისთვის, ვითარცა პოეტისათვის, „ბრილიანტის ბამრარანდვა არის ბრილიანტზე სანუკვარი“.

მუხრან მაჭავარიანი.

ახალი მწვერვალებისაკენ!

მკითხველი, რომელიც მშობლიური სიტყვის წიალს ჩასწვდომია და ჭიშმარტი პოეზიის ყადრი იცის, მუდამ დიდი ინტერესით ელოდება გამოჩენილი ქართველი პოეტის ოთარ ჭელიძის ყოველ ახალ ნაწარმოებს — ლექსს, ბალადას, პოემას.

ოთარ ჭელიძემ თავიდანვე მიიპყრო ყურადღება, როგორც განსხვავებული პოეტური ხმის, ინტონაციის, ხელწერის შემოქმედმა. თანდათანობით, წლების მანძილზე, იგი ჩამოყალიბდა ქართული ლექსის რნეულ ოსტატად, რომლისთვისაც არ ჯისებობს აუღებელი ციხე...

პოეტი ოქროს მაძიებელსა ჰგავს: არასოდეს კმაყოფილდება მიღწეული შემოქმედებითი წარმატებით. დაუცხრომლად მიიწევს ერთი მწვერვალიდან ახალი, უფრო მაღალი მწვერვალისაკენ.

ხუტა ბერულავა.

ზენიტში

საკვანძო ხელხვავინი შეხვდა თავის 60 წლის იუბილეს ოთარ ჭელიძე. იოლია ახლა მისი პოეტური მოღვაწეობის განსჯა-შეფასება, მაგრამ ძნელი და მომქანცველი იყო ის გზა, რომელიც განვლო მხატვრულ სიტყვასთან ფიქრში და ჭიდილში ორმოცი წლის მანძილზე.

დიახ, 40 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ოთარ ჭელიძე მხატვრულ სიტყვაზე ფიქრობს, იწვის და ინთება. და ახლა, როცა სიყვარულით აღვნიშნავთ პოეტის საიუბილეო თარიღს, თითქმის ყველანი, ვინც კი მის პოეტურ ღვაწლს შევეხებით, უთუოდ ხაზგასმით გამოვყოფთ ოთარ ჭელიძის მხატვრული სტილის თავისებურებას, იმთავითვე რომ გახდა საცნაური მის პოეზიაში. ეს კი უწინარეს ყოვლისა არის მისი პოეტური ინტონაციის უჩვეულობა, ფრაზის ჩვეთრად გამორჩეული სისხატე, ეხერგიულობა, ტკივდი შინაარსითა და ღრმა განცდით დამუხტული.

მაგრამ მარტოოდენ თავისებური პოეტური ინტონაციით როდი გამოირჩევა ოთარ ჭელიძე თანამედროვე პოეზიაში. იგი სისხლხორცეულად დაუკავშირდა ჩვენს ცხოვრებას, მისი ყოველი სიახლე, კარგიც და ავიც, გულთან მიკარებულ ... მწვავედ გახიდიდა.

ოთარ ჭელიძე თანამედროვე პოეტია ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ასეა არა მარტო იმ ლექსებში, რომლებშიც პოეტი ფართო მხატვრულ განზოგადებას ახეგებს თანამედროვე ეკაცის სულიერ სამყაროს, ფიქრებსა და მისწრაფებებს, არამედ იმ ნაწარმოებებშიც, რომლებიც ეწმინდა ისტორიულ თემებზე აქვს შექმნილი.

მაინც რა არის ოთარ ჭელიძის პოეტური შთაგონების ძირეული წყარო? ამ კითხვაზე პასუხი, რა თქმა უნდა, არც ახალი იქნება და არც ორიგინალური, მაგრამ პასუხი მაინც უნდა გაიცეს. გიიცეს იმიტომ, რომ ეს თვისება — სამშობლო ქვეყნის უსაზომო სიყვარული — ერთნაირად დამახასიათებელია ყოველი პოეტის შემოქმედებისათვის. ოღონდ განსხვავება უნდა ვეძიოთ ამ სიყვარულის გამოხატვის ფორმასა და შინაარსში. ამ თვალსაზრისით, ოთარ ჭელიძის ყოველი პოეტური ფრაზა საქართველოს სიყვარულის გრძნობით, არის დამუხტული: „ცოცხლეულებისს, ნაცოდეილარს, ძალმიც საქართველო მაცახახებს“... მშობლიური ქვეყნის ამგვარი სიყვარული უძლიერებს მას სიკეთის საწყისს, სიყვარულის ერთგულების რწმენას. პოეტი გვარწმუნებს: „რწმენა არასოდეს გამბზარავი სხვათა უწმაწური მონაჯორით“. ეს იყო მისი და მისი თაობის საუკეთესო შვილთა რწმენის დაუხრელი დროშა და ამ ბრძოლაში დარჩნენ ბოლომდე. პოეტს უნარი შესწევს ზედმიწევნით ზუსტად და ხელშესახებად გადმოსცეს თავისი თაობის სულიერი სამყარო, გვაბიაროს იმ ნათელ ფიქრებსა და გამჭვირვალე ზრახვებს, ურომლისოდაც ყოველივე მკრთალდება და უფერულდება.

შემოქმედების

ზემოთ მოხმობილ პოეტურ ფრაზაში, ჩემი აზრით, ასევე ზედმიწევნით ზუსტად არის განსაზღვრული ოთარ ჭელიძის მხატვრული შემოქმედების კრედო, მრწამსი და პოეტური აზროვნების სულის თავისებურება. ამ ნიშნით ხასიათდება მისი პოეტური მემკვიდრეობა და ყოველივე ეს აფსებს და ამდიდრებს ქართული პოეზიის კლასიკურ ტრადიციებს.

ოთარ ჭელიძის მხატვრული აზროვნებისა და ხელწერის ნიშნეულ თვისებად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე მისი გამორჩეული და მარადიული ერთგულება პოეტური ეპოსის ისეთი სიინტერესო ჟანრისადმი, როგორიც ბალადაა. შეიძლება ითქვას, რომ ის გარდა თითქმის ორგან ცდილობს ამ ჟანრს დამოუკიდებლობა მოუპოვოს და თავისი ადრინდელი ხიბლი შეუნარჩუნოს. აქვე შეიძლება ისიც თამამად აღინიშნოს, რომ ბალადის ჟანრში პოეტმა მიაღწია განსაკუთრებულ ოსტატობას. ბალადა მისი სტიქიაა და ამ ჟანრში მას პროიორიტეტს ვერავინ შეეცილება მომავალშიც.

ასეთივე გამორჩეულ ერთგულებას იჩენს ოთარ ჭელიძე პოემებისადმი. რა დასამალია და, ბოლო პერიოდში ქართველი პოეტები საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ოთარ ჭელიძის დაუცხრომელი მოღვაწეობა მთარგმნელობის დარგში. იგი განსაკუთრებული მზრუნველობითა და სიყვარულით თარგმნის მოძმე ერების თვალსაჩინო პოეტების საუკეთესო ნაწარმოებებს ქართულ ენაზე, თარგმნის მაღალოსტატურად. მისი თარგმანების წყალობით კიდევ უფრო მეტ შეიყვარა ქართველმა მკითხველმა ალ. პუშკინის, ალ. ტვარდოვსკის, ა. მიიკევიჩისა და სხვათა პოეტური ნაწარმოებები. ამ მხრივ ოთარ ჭელიძე აკეთებენს და აღრმავებს იმ საუკეთესო ტრადიციებს, რომელთაც სათავე სახელოვანმა წინამორბედმა პოეტებმა დაუდეს. თავისი მთარგმნელობითი მოღვაწეობით ოთარ ჭელიძეს თვალსაჩინო წვლილი შეეტანა ქართველი და მოძმე ხალხების კულტურულ ურთიერთობებსა და დაახლოებაში.

სასიხარულოა, რომ ოთარ ჭელიძე კვლავ მუშაობენოურ ენაზე ეწევა ქართველი ერთგული პოეტების ძმიმე ვალსს, ამაყად დგას ძიებისა და შემოქმედებითი მიღწევების ზენიტში, სიიდანაც მკაფიოდ ცხადდება ახალი მიღწევების კონტურები.

რევაზ ჩხარტიშვილი.

დავით გამეზარდაშვილი

ქართულმა მეცნიერულმა საზოგადოებრიობამ მძიმე, დანაკლისი განიცადა — 21 დეკემბერს გარდაიცვალა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დავით მინას ძე **გამეზარდაშვილი.**

დ. გამეზარდაშვილი დაიბადა 1920 წლის 21 იულისს ჭიათურის რაიონის სოფელ კაცხში. 1941 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა საშუალო სკოლაში. 1945 წელს მოიპოვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, ხოლო 1958 წელს მოსკოვში დაიცვა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

სხვადასხვა დროს დ. გამეზარდაშვილი მუშაობდა ახალი ქართული ლიტერატურის კათედრის ასისტენტად, დოცენტად, პროფესორად. იყო საქართველოს აკადემიტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე, საქართველოს ულიტერატურის დეკანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი.

დ. გამეზარდაშვილი არის 20 მონოგრაფიისა და ასზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოთა თანაავტორი. მისი პირველი მონოგრაფიული გამოკვლევა შეეხება ქართული რომანტიზმის გენეზისს. გაადგილა რა ლიტერატურულ მემართულებათა ფორმირების შესწავლა, დ. გამეზარდაშვილმა ცალკე გამოკვლევები უძღვნა გ. ერისთავის, ზ. ანტონოვის, ლ. არდაზიანის, დ. ჭოხელაძის შემოქმედებას. განსაკუთრებით დიდია დ. გამეზარდაშვილის ღვაწლი ქართული კრიტიკული რეალიზმის შესწავლაში. მისი „ნარკვევების“ ორტომეულში განხილულია ქართველი სამოციანელების ლიტერატურული მოღვაწეობა, იდეურ-ესთეტიკური ბრძოლა, კრიტიკული რეალიზმის ბაგატონება ქართულ ლიტერატურაში. ამავე პრობლემებზე გამოქვეყნდა მისი სქელტანიანი ნარკვევი 1959 წელს რუსულ ენაზე.

დ. გამეზარდაშვილმა ცალკე მონოგრაფიები დაწერა ნ. ნიკოლაძის, კ. აბაშიძის, ხოშლელის, ბაბანას, ვ. კოტეტიშვილის ცხოვრებამოღვაწეობაზე, ქართულ კრიტიკასა და კრიტიკოსებზე.

ძნელია დავასახელოთ რომელიმე პრობლემა XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებისა და საზოგადოებრივ აზოგენებაში, რომლებზედაც დ. გამეზარდაშვილს გამოთქმული არ ჰქონდეს თავისი შეხედულებანი. მისი ნააზრევი ამ ეპოქაზე თავმოყრილია თხზულებათა ხუთტომეულში: „ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან“.

დ. გამეზარდაშვილი მეცნიერული ორგანიზაციის დიდი უნარით იყო დაჯილდოებული. იგი სათავეში ჰყუდგა ნ. ნიკოლაძის პუბლიკაციტური მემკვიდრეობის I5 ტომეულის გამოცემას და 7 ტომი უკვე გამოცემულია. მანვე ხელახლა გამოსცა კ. აბაშიძის და ვ. კოტეტიშვილის ნარკვევები. დიდი მუშაობა გასწია დ. გამეზარდაშვილმა ბიბლიოს უნივერსიტეტში ეურნალისტიკის ფაკულტეტის შექმნისათვის. წლების მანძილზე იყო ამ ფაკულტეტის დეკანი. მისივე თაოსნობით ფაკულტეტზე საფუძველი ჩაეყარა კრებულის „ეურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხების“ გამოცემას, რომლის 8 ტომი მისი რედაქტორობით გამოიცა.

35 წელი ეწეოდა დ. გამეზარდაშვილი პედაგოგიურ საქმიანობას უნივერსიტეტში. მან აღზარდა ქართული საზოგადოებრივი აზოგენების ისტორიის მრავალი სპეციალისტი, ქართული ეურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის მკვლევარი.

დ. გამეზარდაშვილი ხასიათდებოდა მეცნიერული თავმდაბლობით, თავაზიანობით. მოდან აქტიური მოხსენელი იყო საქართველოს ეურნალისტთა კავშირის საქმიანობისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების საგანმანათლებლო; თბილისის ენთილი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს ეურნალისტთა კავშირის გამგეობა.

ყაბანი

დაწინაურდა ზ. სტურუა

საქართველოს პირველობის (უმაღლესი ლიგა), მორიგ, შეთვრამეტე ტურში ერმანიანის შეხვედრა ჩემპიონობის ორი პრეტენდენტი — სტურუა და ალმაიფარაშვილი. ამ პარტიაში ნამდვილ ბრძოლადე საქმე არ მისულა, მტოლეებმა სწორაფად გაანმარტვეს პოზიცია და უკვე მე-16 სვლაზე ეს რტა ყაიმით დასრულდა. ასეთივე შედეგით დამთავრდა გუფელდ-ბალამბერიძის, ბალთუროვ-ზაინიკოსა და იაილიან-ტაბატაძის პარტიები. გიორგაძეს გადადებულ პარტიაში მძიმე პოზიცია აქვს ბოკუზაკისთან.

11 ტურის შემდეგ 8,5 ქულით წინ არის სტურუა. ზაინიკაა 8 ქულა მოაგროვა, ალმაიფარაშვილს — 7,5 ქულა და ერთი მოსაგებ მდგომარეობაში გადადებული პარტია აქვს, 6 ქულა და ორი გადადებული პარტია აქვს გუფელდს. ახლა ჩემპიონობისთვის ბრძოლას ეს ოთხეული აგრძელებს.

ტურნირის დამთავრებამდე ორი ტურიღა რჩება.

მოკავშირე რესპუბლიკების საუკეთესო სპორტსმენები

სსრ კავშირის ოლიმპიურმა კომიტეტმა და ეურნალ „ოლიმპიისკაია პანორამამ“ რედაქციამ ტრადიციული კონკურსი მოაწყვეს მოკავშირე რესპუბლიკებში წლის საუკეთესო სპორტსმენების გამოსაკვლევლად. ლაურეატთა შორის არიან: **ი. კოროლიოვი** (რუსეთის სფსრ) — ახსოლუტური მსოფლიო ჩემპიონი სპორტულ ტანვარჯიშში; **ს. ბუბკა** (უკრაინის სსრ) — მსოფლიო ჩემპიონი ჭოკით ხტომაში, მსოფლიო თასის მფლობელი; **ი. ფელეზოვსკი** (ბელორუსიის სსრ) — მსოფლიო ჩემპიონი და რეკორდმენი ციგურებით ჩქარსვლელ რბენაში; **ა. ფაძიევი** (უზბეკეთის სსრ) — მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში; **ა. ორაზოლიოვი** (ყაზახეთის სსრ) — ევროპის ჩემპიონი წყალბურთში; **დ. ბობეკიშვილი** (საქართველოს სსრ) — მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში; **გ. კახპაროვი** (აზერბაიჯანის სსრ) — მსოფლიო ჭადრაკში; **ა. ხაბონინი** (ლიტვის სსრ) — ევროპის ჩემპიონი კალათბურთში; **ი. პაკალინი** (ყირგიზეთის სსრ) — მსოფლიო რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში, მსოფლიო ნაკვერჩხლებზე ჩემპიონი; **ზ. რუხტამოვი** (ტაჯიკეთის სსრ) — მსოფლიო ჩემპიონი მშვილდოსნობის გუნდურ შეჯიბრებაში; **ი. ვარდანიანი** (სომხეთის სსრ) — მსოფლიო ჩემპიონი ძალოსნობაში; **მ. შუვალოვი** (თურქმენეთის სსრ) — ჭიდაობა პირველი საკავშირო ასპარეზობის ჩემპიონი ძალოსნობაში; **კ. პარეკი** (ესტონეთის სსრ) — ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი ბიატლონში.

სერგი გუგა საკრძალის ანკეტის პირველი ლაურეატია

მოსკოვი რეკორდსმენმა ჭოკით ხტომაში დონეცკელმა სტუდენტმა სერგი ბუბკამ გამიმარჯვა საკვლის ტრადიციულ ანკეტაში, რომელმაც 1985 წლის საუკეთესო სპორტსმენი გამოავლინა. ანკეტაში ხუთი კონტინენტის 30 საინფორმაციო სააგენტოს სპორტული მომიმხილველები მოწაფეულობენენ, მათგან ექვ

ტმა საბჭოთა სპორტსმენს პირველი ადგილი მიაკუთვნა. დაგროვილი ქულების რაოდენობით მეორე ადგილი გაინაწილეს მძლეოსნებმა — მსოფლიო რეკორდსმენებმა სონბილეი მარიტა კოხმა (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) და მაროკოელმა საიდ იაუიტამ, აგრეთვე საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრების კაპიტანმა მიშელ პლატინიმ.

ამრიგად, წელს ანკეტის ოთხი ლაურეატია სამის ნაცვლად.

საკვლისის ანკეტის პასუხებში 15 ქვეყნის 28 სპორტსმენია დასახელებული. მათ შორის არიან მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში გარი კასპაროვი, მსოფლიო ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში იგორ პაკლინი, ამსოლუტური მსოფლიო ჩემპიონები სპორტულ ტანვარჯიშში ეკენე შუშუნოვა, ოქსანა ომელიანჩიკი და იური ალოროლოვი.

დასახელებულთა შორის თოთხმეტი სახეობის სპორტის ოსტატები არიან. მძლეოსნობისა და ფეხბურთის გარდა ესენი გაწლაკან აეტორბოლის, კრივის, ვოლეიბორტის, სამთო-სათხილამურო სპორტის, თხილამურებით რბოლის, სპორტული ტანვარჯიშის, ცურვის, ძალოსნობის, ჩოგბურთის, ჭადრაკის, ჰოკეის და... გოლფის წარმომადგენლებიც კი.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

კეთილი და ნათელი მუსიკა

(დასასრული)

სურათზე: როიალთან — სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, კომპოზიტორი ტიხონ ხრენიკოვი.

ვ. პეტროსიანის ფოტო. (საინფორმის ფოტოკორესპონდენტი).

ოპერის პრემიერა

ქუთაისი. (საკ. კორ.). ახლახან ქუთაისის სათეატრო თეატრში გაიმართა პრემიერა ს. რახმანინოვის ოპერისა „ალეკო“.

სპექტაკლი დადგა რუსეთის სფსრ სახალხო არტისტმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ალ. ჭიჭინაძემ. მუსიკალური ხელმძღვანელი და დირიჟორია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რ. ხუციელავა, რეჟისორი— ა. გაბელია, მხატვარი — ა. ამაშუკელი, ქორმაისტერები — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. მაჭავარიანი და ო. თოფურიძე.

მაყურებელმა გულთბილად მიიღო თეატრის მთავრლების თ. ფარცვანიას (ალეკო), გ. შალოკოვას (ზემფირა), რ. ეუბლაშვილის (ახალგაზრდა ბოშა), გ. ეუბლაშვილის (მოხუცი ბოშა), ა. კარაევის (მოხუცი ბოშა ქალი), ბალეტის სოლისტების — ლ. ყურაშვილის, ს. ვედმედევის, ა. ისუპოვის საშემსრულებლო ხელოვნება.

დ. გედენიძე.

ზრუნავენ სოფლის კეთილმოწყობისათვის

ბორი (საკ. კორ.). ხვითის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობა დღენიადაგ ზრუნავს სოფლის კეთილმოწყობისათვის. სწორედ მეურნეობის ძალებით აშენდა აქ საბავშვო ბაღი, ახანო, მოსსოდტდა სასოფლო გზა, საშუალო სკოლაში გაყვანილია ცენტრალური გათბობა და სხვა. ყველაფერი ეს ბოლო ორ წელიწადში გაკეთდა.

გაისად სოფლის ახალგაზრდობა ეკარგ საჩუქარს მიიღებს — დაიწყება სოფლის კლუბის მშენებლობა.

„ნოდარ დუმბაძის“ უკიდეგანო სივრცეები

ზურგის ქარი, ალალო ტანკერო!

უმფენესი ტანკერი, - რომელსაც გამოჩენილი ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის სახელი ეწოდა და ჩვენი რესპუბლიკის საზღვაო სანაოსნოს შეემატა, ხერსონელმა გემთმშენებლებმა აიგეს. 18 დეკემბერს კი ტანკერის „ნათლობის“ რიტუალი შესრულდა ტუფფსეში, სადაც „ნოდარ დუმბაძეს“ უკვე ინდოეთისაკენ აიღო ეურსი. ეკიპაჟს ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა მიეღოდა მწერლის მეეუღლე ნანული დუმბაძეს, მან მშვიდობიანი ნაოსნობა უსურვა მსოფლიოს ზღვებსა და ოკეანეებში ტანკერის „ლეკვ“ ტანკერს. საზეიმო სხდომაზე ტანკერის კაპიტანმა რ. ახობაძემ ილაპარაკა იმ გეგმებზე, რომელიც „ლეკ“ ტანკერს აქვს დასაბუნო, რომ ნოდარ დუმბაძის სახელი მათ მხოლოდ წარმატებებს ავალებს. მიტინგზე გამოვიდნენ კაპიტნის პირველი თანაშემწე ვ. დუმბაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეეუტერის განყოფილების ინსტრუქტორი მ. ცინავა, რომელმაც ეკიპაჟის წევრებს უამბო, თუ რა გაკეთდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით მწერლის სახელის უკვდავსაყოფად.

„ნოდარ დუმბაძე“ — ეს არის თანამედროვე ტიპის, ტექნიკურად საეახოოდ აღჭურვილი 200 მეტრამდე სიგრძისა და 40 ათასამდე ტონა წყალწყვის ტანკერი, რომლის ეკიპაჟს საუკეთესო პირობები აქვს შექმნილი შრომისა და დასვენებისათვის. ტანკერის მშენებლებს ამისთვისაც უზრუნიათ, რომ ბიბლიოთეკა ლამაზად ყოფილიყო გაფორმებული. ყოველივე, ეს სტუმრებს გააცნო კაპიტნის პირველმა თანაშემწემ ვ. ხვედელიძემ.

ულამაზეს კიუტკათაგან ერთი-ერთი ნოდარ დუმბაძის სახელი და ფოტოები გამდიდრდა მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მასალებით, ნახატებითა და ფოტოებით (დიზაინერი — რესპუბლიკის დამსახურებული არქიტექტორი თ. მაჭარაშვილი). ეკიპაჟს სარეკვლად გადაეცემა ნოდარ დუმბაძისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმისა და მისი ნაწარმოებების მიხედვით გადადებული მხატვრული ფილმების ასლები.

ტანკერის კაპიტანმა რ. ახობაძემ მწერლის სახლ-მუზეუმს უსახსოვრა ბეზე ამოკვეთილი ტანკერის გამოსახულება.

... და გადასერავს ამიერიდან ნოდარ დუმბაძის სახელობის ტანკერი უშორეს სივრცეებს, როგორც სიმბოლო მწერლის უკვდავებისა.

ვ. ლომიძე.



სურათებზე: ბეზე ამოკვეთილი ტანკერის გამოსახულება; სამახსოვრო სამკერდე ნიშანი, რომელიც სპეციალურად იმ დღისთვის დამზადდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სსტ“

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

88006, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეები — 99-33-03, 99-03-09, პ/მდივანი — 99-72-99, საკადრისო — 99-86-10, ბანყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-47-61, ბარბარა ბ ულელიანური თეორიის პრობლემებისა — 99-95-20, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 99-20-24, საბჭოთა ბუნებისმეტყველ — 99-58-76, მეცნიერების, უმაღლეს სასწავლებლების და კულტურის — 99-27-59, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ფელეტონის — 99-22-99, პედაგოგიკისა — 99-16-90, უცხოთის ინფორმაციის — 99-20-21, ეროვნულთა ურთიერთობის — 99-72-24, ილustრაციის — 99-38-54, საზოგადოებრივი მისაღების — 99-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

ბოლოსი — 290-68-47; ოზურგეთი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-08; ცხინვალი 2-32-53; ქუთაისი — 5-20-58; ზუგდიდი — 2-33-10; ფაფალეთ — 2-03-16; ფოთი — 5-58-03; ბაბანაურა — 6-34-44; ზესტაფონი — 5-54-96; თელავი — 5-12-09; ციხისძირი — 23-46; ბაკურიანი — 23-99.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინმოუსვლელთა მემორიალი

ეკვსი პატარა სოფელი ერთ სასოფლო საბჭოში გაერთიანებული, ერთ მეურნეობაში შრომობს. ამ სოფლების მშრომელებს ერთი აქვთ საზრუნავიც, სიხარულიც და სევდაც... სევდა კი იმ ჭრიელებლისა დღეებმა დაეტოვა ძალ, ჩვენი ქვეყნის ისტორიას მოუშუშებელ ჭრილობად რომ დარჩა.

ახმეტის რაიონის ზემო ხოდაშნის სასოფლო საბჭოს სოფლებიდან ზემო ხოდაშნიდან, აწყურიდან, ჩაბინაანიდან, ხორსოლიდან, ახალდაბიდან, ჩარეკეულიდან სამშობლოს დასაცავად 431 ვაჟკაცი წავიდა სამამული ომში, მათგან 245 ალარ დაბრუნებულა.

მათ ლოდინში გამოუღამდა თვალი 192 დედას, 62 შინმოუსვლელის ცოლები კი დღესაც მარჯვედ ტრიალებენ მეურნეობის ნაკვეთებში და „თავის წილ და მათ წილ“ შრომობენ.

ერთ სასოფლო-საბჭოში და ერთ მეურნეობაში გაერთიანებული 6 სოფლის მშრომელებს ყველაფერი საერთო აქვთ, მათ შორის დაღუპულთა ხსოვნაც.

ზემო ხოდაშნის მეკვანახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექციამ მეურნეობის მშრომელთა დანაზოგით, შინმოუსვლელთა ხსოვნის უკვდავსაყოფად ახმეტის რაიონის დასაწყისში, სოფელ აწყურში მემორიალი დადგა. თაღოვანი სვეტები, მარმარილოს დაფებზე ლამაზი ქართული ასოებით ამოტვიფრული დაღუპულთა გვარები, მემორიალის თავზე აგიზგიზებული მარადიული ცეცხლი მათი ხსოვნის უკვდავების ღაღადებს.

დ. გეგეშიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ზენიტ ფუტბალის“ ...

სურათზე: როიალთან — სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, კომპოზიტორი ტიხონ ხრენიკოვი.

ვ. პეტროსიანის ფოტო. (საინფორმის ფოტოკორესპონდენტი).

ეროსკოპი

25 დეკემბერი

პირველი